



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება-038/16

1. ფაქტები

ადვოკატ ლ.ჯ.-სა და კლიენტს შორის წერილობითი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე გაფორმდა. შეთანხმების საგანი: „ბავშვის დაბრუნება მშობლებისთვის“, საქმის არსი: წარმომადგენელი სასამართლოში ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებით“. საჩივრის ავტორმა ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადასცა 1000 (ათასი) ლარი. ადვოკატი შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს, მან განცხადება შეიტანა სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში, ამ უკანასკნელის უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში. ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატს არ ჩაუბარებია საგარეჯოს სოციალური მომსახურების რეგიონული განყოფილების პასუხი, რადგან არ სურდა გასაჩივრების ვადის გაშვება, ეს წარმოადგენდა მის სტრატეგიას. ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ საქმის წარმოება დროებით უნდა შეჩერებულიყო და ადვოკატი სასამართლოს მიმართავდა მაშინ, როდესაც მათ საქმის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა ექნებოდათ. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯების გამოკლებით.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ.შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ.ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ლ.ჯ.ს მიმართ ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევის თაობაზე (პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი).

3. სამართლებრივი ანალიზი

უნდა დაებრუნებინა თუ არა ადვოკატ ლ.ჯ.ს კლიენტისთვის ჰონორარი საადვოკატო მომსახურების კლიენტის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემდეგ?

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოჰქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოეკეთოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი 1000 (ათასი) ლარი და ადვოკატის მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურება მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობასაც. ადვოკატს კლიენტის საქმეზე შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია-მან არ მიმართა სასამართლოს. რადგან კლიენტმა ადვოკატ ლ.ჯ.ს 2016 წელს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ადვოკატმა, მიუხედავად სურვილისა, ნ.შ.ს საქმის წარმოება ვერ გააგრძელა, მას უნდა გამოეკეთა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა. ადვოკატ ლ.ჯ.ს მის მიერ მიღებული საზღაურიდან უნდა გამოეკეთა გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის სავარაუდო თანხა და ჰონორარის დარჩენილი ნაწილი დაებრუნებინა კლიენტისთვის.

ადვოკატ ლ.ჯ.ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.